შეთანხმებულია შპს კერძო სკოლა

,,ივერონის'' პარტნიორთა კრებასთან

/----------/

/----------/

დამტკიცებულია შპს კერძო სკოლა ,,ივერონის''

დირექტორის მარიამ დარჩაშვილის მიერ

/----------/

შპს კერძო სკოლა „ივერონი"
211333305
LTD PRIVATE SCHOOL „IVERONI"

შ.პ.ს კერძო სკოლა "ივერონის" ექვსწლიანი განვითარების

სტრატეგიული გეგმა

2016-2022 წელი

პრეამბულა

სამოქმედო პროგრამა წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი მოქმედებების გეგმას, რომელიც სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სკოლის საქმიანობა ეფუძნება საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს, რომელსაც საკუთარი დაწესებულების საქმიანობის ძირითად ფუნდამენტად მიიჩნევს.

სკოლას მიაჩნია, რომ დაწესბულების თანმიმდევრული განვითარებისათვის აუცილებელია - სკოლის სტარტეგიის ფორმულირება, რომელშიც გაცხადებული იქნება სკოლის მიდგომა და ხედვა, რომელსაც ირჩევს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

წინამდებარე სტარატეგია შექმნილია იმისათვის, რომ სკოლამ შეძლოს მის მიერ დასახული მიზნის გამჭვირვალედ და ჯეროვნად განხორციელება. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები.

სკოლის წარმატება და განვითარება მნიშვნელოვანწილად მასწავლებლის პროფესიულ ოსტატობას ეფუძნება. მათ მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი პასუხისმგებლობა, ძალისხმევა და ენთუზიაზმი ესაჭიროებათ იმისთვის, რომ უპასუხონ თანამედროვე მოთხოვნებს. მუდმივი სწრაფვა განვითარებისაკენ, ცოდნის გაღრმავება, თანამედროვე, მუდმივად განვითარებადი ტექნოლოგიებისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება, საკუთარი გამოცდილებისა და უნარების მობილიზება არის საკვანძო საკითხები სკოლის მიერ წარმატების მისაღწევად.

სკოლა დარწუმნებულია, რომ მისი სტარატეგიული განავითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად და მის მოდიფიცირებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის ყველა დაინტერესებულმა პირმა.

სკოლის განვითარების სტრატეგია

სტრატეგია არსებითად წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს ორგანიზაციას საკადრო მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. სტრატეგიული დაგეგმვა გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში.

ორგანიზაციული მიზნების მიღწევისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს გეგმის განხორციელების პროცესის მუდმივ მონიტორინგს, განხორციელებული აქტივობების და მათთან დაკავშირებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. მონიტორინგის გარეშე დიდია რისკი იმისა, რომ ორგანიზაციის მიზნები მიუღწეველი ან მხოლოდ ნაწილობრივ მიღწეული დარჩება. თითოეულ ორგანიზაციას სჭირდება ქმედითი ინსტრუმენტების/მეთოდების შემუშავება და გამოყენება მიზნისაკენ გადადგმული ნაბიჯების სისწორისა და ეფექტიანობის გასაზომად; იმის დასადგენად, ხომ არ ხდება სასურველი კურსიდან გადახვევა და რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის იგნორირება.

სკოლის სტრატეგიული განვითარებისათვის სკოლაში მოქმედებს შემდეგი ციკლი:



მისია

შპს კერძო სკოლა „ივერონი“ დაარსდა 2000 წელს. დაარსების დღიდან სკოლა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო - საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს.

სკოლის თითოეული საფეხურის მიზანია სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევების, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტელექტუალურ-ფიზიკური, ღირებულებების მქონე მოსწავლეთა აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, თითოეული მოსწავლის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლა მიზნად ისახავს, მშობლებთან თანამშრომლობის, შიდა სასკოლო მონიტორინგისა და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით მოსწავლეთა მაღალი აკადემიური დონის მიღწევას და მათ მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სწავლების პრიორიტეტები, როგორიცაა უცხური ენები და სახელოვნებო მიმართულებები (რელიგია, ხელოვნება).

სკოლა მოწოდებულია: შექმნას უსაფრთხო გარემო, სადაც მოზარდები ეზიარებიან ზოგადსაკაცობრიო და ჰუმანისტურ იდეალებსა და ღირებულებებს. იზრუნოს, მშობლებთან ერთად, მოსწავლეთა უწყვეტი განვითარებისა და განათლების, მათთვის თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბების, მასწავლებელთა მუდმივი სწავლებისა და პროფესიული ზრდის ხელშემწყობი, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სწავლება-განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და კლასში(სკოლაში) თავისუფალი შემოქმედებითი გარემოს შექმნაზე.

მისიის მისაღწევად სკოლა

- ქმნის ეფექტურ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასწავლო გარემოს;
- ხელს უწყობს მოსწავლის ფიზიკური, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებას;
- ზრუნავს პედაგოგების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე;
- სასწავლო პროცესში ნერგავს ქვეყნის ფარგლებში დამკვიდრებულ საერთაშორისო პრაქტიკას;
- მუდმივად ავითარებს და სრულყოფს სასწავლო რესურსებს;
- ხელს უწყობს მშობლის აქტიურ ჩართულობას შვილის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში;
- მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე.

1. მიზნები და ამოცანები

შპს კერძო სკოლა „ივერონის'' ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

1. შპს კერძო სკოლა ,,ივერონის'' მმართველობითი საქმიანობის გაუმჯობესება. მისი სტრუქტურის ოპტიმიზაცია და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოწესრიგება;
2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება;
3. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;
4. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით.
5. თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება;
6. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;
7. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;
8. სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება.

2. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაციის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია. თუმცა, შემდგომი წინსვლისთვის საჭიროა ამ დოკუმენტაციის დახვეწა და მომავალში საგანმანათლებლო სფეროში განხორციელებული ცვლილებებისათვის მორგება. ამ მიზნით სკოლამ უნდა განახორციელოს შემდგომი ღონისძიებები:

1. დახვეწოს სკოლის მისია,დებულება, შინაგანაწესი და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაცია;
2. დახვეწოს საქმისწარმოების ერთიანი სისტემის წარმოების წესი;
3. კანონმდებლობის ცვლილებებიდან გამომდინარე უზრუნველყოს მასწავლებლებთან და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების სრულყოფა;
4. ყოველწლიურად შეიმუშავოს, დახვეწოს, განავითაროს და დაამტკიცოს სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. უზრუნველყოს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმების სრულყოფა;
6. განახორციელოს მოსწავლეთა თვითმმართველობის შექმნა და მისი საქმიანობის მარეგულირებელი დებულების განახლება;
7. საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავოს და დახვეწოს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭირობის მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალური პროგრამა;
8. აქტიურად გამოიყენოს მშობელთა/მასწავლებელთა გამოკითხვისთვის შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია;
9.წარადგინოს ავტორიზაციის განაცხადი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და გაიაროს ავტორიზაცია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით;
10. ავტორიზაციის შედეგებიდან გამომდინარე უზრუნველყოს, მოსწავლეთა მიღება სკოლაში და მათ მშობლებთან ხელშეკრულებების გაფორმება.
11. ეტაპობრივად განაახლოს მშობელთა ჩართულობისა და მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და სისტემატიურად გამოიყენოს იგი;
12. ყოველწლიურად უზრუნველყოს სკოლის სასწავლო პროგრამების ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა;
13. დახვეწოს და სრულყოს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი;
14. კათედრების უკეთესად მუშობის მიზნით ეტაპობრივად განაახლოს კათედრების მუშობის დებულება;
15. ყოველწლიურად შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, განაახლოს და დახვეწოს სადამრიგებლო დებულება და სამედიცინო დახმარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი;
16. ყოველწლიურად გააკეთოს სკოლის საქმიანობის SWOT ანალიზი.

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზების მიზნით, სკოლაში:

1. შეიქმნება კომპიუტერული კლასები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ვირტუალური მოდელების შექმნას, აგრეთვე სასწავლო პროგრამების ელექტრონული ვერსიების განთავსებას;
2. შეიქმნება, დაიხვეწება და განვითარდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემა;
3. პერიოდულად დაიხვეწება სკოლის ქართულენოვანი ვებ-გვერდი, ასევე, შეიქმნება ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი, დაიბეჭდება სკოლის საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტები და ბანერი;
4. განახლდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაცემების ელექტრონული ბაზა;
5.განხორციელდება სკოლის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ინფორმაციის ელექტრონული ვერსიების შექმნა და დაარქივება;
6. მოხდება სკოლის მონაცემთა ბაზის ელექტრონულ ფორმატში ორგანიზება;
7. განხორციელდება სკოლის კომპიუტერიზაცია შემდეგი მიმართულებებით:
   - ფინანსური მართვის კომპიუტერიზაცია, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონულად ხელფასების დათვლას, მასში ცვლილებების შეტანას, თვიური, კვარტალური და წლიური ბალანსის დათვლას, არქივის შექმნას.
   - სკოლის საკანცელარიო საქმის კომპიუტერზაცია, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში ერთიანი ქსელის შექმნას, სკოლის მონაცემთა ბაზის და პირადი საქმეების ელექტრონულ ფორმატში ორგანიზებას.
8. შეიქმნება ელექტრონული ჟურნალები, რომელთა მეშვეობითაც ყველა მშობელს და დაინტერესებულ პირს მიეცემა საშუალება, თვალყური ადევნოს სკოლაში მიმდინარე პროცესებს და საკუთარი შვილის სკოლაში დასწრებასა და აკადემიურ მოსწრებას;
9. გაკეთდება ლინგაფონის (აუდიო) ოთახი;
10. სპორტული დარბაზში განახლდება გასახდელი ოთახები გოგონებისა და ვაჟებისათვის;
11. სისტემატიურად მოხდება ეზოს გამწვანება;
12. განხორციელდება წიგნადი ფონდის გაზრდა.

4. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება

1. სკოლაში მოსწავლეების სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით:

- განხორციელდება პერმანენტული კონტროლი, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, პროგრამების შექმნაზე, განახლებაზე და შესრულებაზე. ასევე, სემესტრის განმავლობაში გაკვეთილების, ლაბორატიული სამუშაოების, შემაჯამებელი დავალებებისა და გამოცდების მიმდინარეობაზე;

- გაგრძელდება და კიდევ უფრო აქტიურად მოხდება შიდა სასკოლო, რესპუბლიკური და საერთაშორისო პროექტების დანერგვა და მართვა.
- განხორციელდება ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობა, საოლიმპიადო ჯგუფების დაკომპლექტება სხვადასხვა საგნებში, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება მოსწავლეთა ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობა.
- მუდმივად განახლდება სადამრიგებლო პროგრამა, დებულება, შინაგანაწესი. განხორციელებული ცვლილებები ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა წინსვლასა და განვითარებაზე;
- დაიხვეწება კლუბური მუშაობა და აქტიურად გაგრძელდება მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება;
- სკოლა უზრუნველყოფს მოწინავე ქართველი მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების, მწერლების და სხვა ცნობილი ადამიანების პერიოდული მოწვევას ერთჯერადი ლექციების ან სალექციო კურსების ჩასატარებლად;
- განხორციელდება სასწავლო გეგმებში ინგლისური ენის, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უნივერსალური საკომუნიკაციო და სამეცნიერო ენის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ხვედრითი წილის გაზრდა;
- დაიხვეწება და განახლდება სკოლის თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები;
- სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სრულყოფას;
- განხორციელდება საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაცია (ინტეგრირებული სწავლება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით;
- მოხდება მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, მოსწავლის განვითარების დინამიკის დადგენა, რეიტინგის განსაზღვრა და თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება;
- დაინერგება და განხორციელდება შიდა სასკოლო პროექტები. წახალისებული იქნება ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობა, სხვადასხვა საგნებში საოლიმპიადო ჯგუფების დაკომპლექტება. ასევე, მოხდება შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა (პროექტები, პრეზენტაციები, კონკურსები, ოლიმპიადები, მიზნობრივი ექსკურსიები და ა.შ.) ორგანიზება;
- განხორციელდება მიზნობრივი ექსკურსიები ქვეყნის ტერიტორიაზე;
- უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეების მონაწილეობას ყველა ღონისძიებაში, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე;
- უზრუნველყოფს ლიტერატურულ-სადისკუსიო სალონის ჩამოყალიბებას, რომლის მუშაობა წარიმართება სხვადასხვა მიმართულებით (ლიტერატურული საღამოების გამართვა, საინტერესო ფილმების ჩვენება და განხილვა, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა დასხვ.).

2. სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით:

- ითანამშრომლებს უნივერსიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც სკოლის პედაგოგებს გაუწევენ კვალიფიციურ დახმარებას ტრენინგებისა და სემინარების სახით. მონაწილე მასწავლებელთა დაფინანსება მოხდება სკოლის ბიუჯეტიდან (ნაწილობრივი დაფინანსებით), ან თვით დაფინანსებით;
- სხვადასხვა სკოლის მასწავლებლების მიერ ჩატარდება მინი-სემინარები, სამოდელო გაკვეთილები, მოეწყობა პრეზენტაციები. მასწავლებელები დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს გამოცდილების გაზიარების მიზნით, იმსჯელებენ წარმოქმნილ პრობლემებზე და მათი აღმოფხვრის საშუალებებზე. გაუწევენ ერთმანეთს რეკომენდაციებს;
- პერიოდულად ჩაატარებს მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგს და გააკეთებს შედეგების ანალიზს, რის საფუძვლზეც მოხდება წარმატებული მასწავლებლების წახალისება;
- უზრუნველყოფს პედაგოგთა ჩართულობას კონფერენციებსა და სხვა ისეთ საგანმანათლებლო ღონისძიებებში, რომელიც ხელს შეუწყობს მათ თვითრეალიზაციას;
- მოხდება პედაგოგთა საქმიანობის გარეფაქტორების (მშვიდი სამუშაო გარემო, ეთიკური სტანდარტების დანერგვა, მასწავლებლის საჭიროებების გათვალისწინებით საგაკვეთილო პროცესის ორგანიზება და სხვა) ეფექტური უზრუნველყოფა;
- ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი იდეების განვითარებას, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება საინტერესოდ და ინოვაციურად წარმართოს გაკვეთილი, გაამრავალფეროვნოს სკოლის სასკოლო ცხოვრება და მოსწავლეებს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების დადებითი მუხტი შესძინოს.
-

3. სადამრიგებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სკოლა:

- ღირებულებებიდან გამომდინარე განსაზღვრავს დამრიგებელთა მუშაობის მიმართულებებს და შეიმუშვებს სადამრიგებლო პროგრამებს. ამ უკანასკნელის საფუძველზე დამრიგებლები მოსწავლებთან ერთად, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიმუშვებენ კლასის სამუშაო გეგმებს (აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია გეგმამ განიცადოს ცვლილება);
- დამრიგებელი დირექციასთან შეთანხმებით წინასწარ შეიმუშვებს მშობელთან შეხვედრების ფორმებს (კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები დასხვ.) დაუზრუნველყოფს მის ორგანიზებას;
- მუდმივად იზრუნებს ხელიშეუწყოს დამრიგებელს სამუშაო გეგმის ეფექტურად შესრულებაში;

4. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საგნობრივი კათედრები:

- დირექციასთან ერთად შეისწავლიან მოსწავლეთა მიღწევების დინამიკას ყველა კლასში. პერიოდულად ჩაატარებენ მონიტორინგს საგნებში, დაადგენენ, ხომ არ არის რომელიმე საგანში ჩავარდნა, რათა დროულად მოხდეს მდგომარეობის გამოსწორება;
- იზრუნებენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გზების დასახვაზე, ინფორმაციის დროულად და სწორად გადაცემაზე, პედაგოგთა ურთიერთანამშრომლობაზე, გუნდური მუშაობის პრინციპის დამკვიდრებაზე, საგნების

ინტეგრირებაზე, სხვადასხვა (შიდა, გარე, საერთაშორისო) პროექტებში, ოლიმპიადებში, პროგრამებში, კონკურსებში, კონფერენციებში და ა.შ. მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობაზე.

5. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით

სკოლა თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით:

- უზრუნველყოფს სკოლის შენობის კეთილმოწყობას, შენარჩუნებას, განახლებას და გამოყენებას;
- განახორციელებს მიმდინარე რემონტს.
- განახორციელებს კაპიტალურ რემონტს.
- შეიძენს სკოლის ახალ ინვენტარს და განაახლებს არსებულს;
- უზრუნველყოფს კომპიტერული ტექნიკის და სხვა საჭირო ტექნიკურის საშუალებების შეძენას;
- უზრუნველყოფს საკლასო ოთახებისა და ლაბორატორიების სასწავლო თვალსაჩინოებებითა და სხვა საჭირო ინვენტარით ეტაპობრივ აღჭურვას;
- უზრუნველყოფს სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზის კეთილმოწყობას.

6. თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება.

- სკოლა განვითარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის შეიმუშავებს თვითშეფასებისა და მონიტორინგის სისტემას.
- სკოლა თავისი საქმიანობის, მიღწევების და დადგენილი სტანდარტების შეფასებისას გაითვალისწინებს მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა შეხედულებებს;
- შეიმუშავებს თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმებს. მოამზადებს და გააკეთებს შედეგების პრეზენტაციას.
- შეაფასებს პედაგოგების მიერ გაკვეთილების ჩატარების ხარისხს.
- განახორციელებს სკოლის ავტორიზაციისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს;
- თვითშეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით ადმინისტრაცია ფსიქოლოგთან ერთად შეიმუშვებს კითხვარებს, პერიოდულად ჩაატარებს კვლევებს, რაც გამოავლენს სკოლაში არსებულ პრობლემებს.

7. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა

- სკოლის ტერიტორიაზე შესვლა განხორციელდება მხოლოდ ერთი კარიდან. სკოლას და მის მიმდებარე ტერიტორიას დაიცავს დარაჯი და ადმინისტრატორი;
- შენობის ყველა სართულზე განთავსდება საევაკუაციო გეგმა და მოქმედი ცეცხლმაქრი ბალონები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- მოსწავლეები სკოლას დატოვებენ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ;
- სკოლის მოსწავლის მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვება გაკვეთილების დამთავრებამდე მოხდება მას შემდეგ, რაც კლასის დამრიგებლის მიერ გაფრთხილებული იქნება, როგორც მშობელი, აგრეთვე, ადმინისტრაციის/დირექციის წარმომადგენელი.

- გაძლიერდება მასწავლებელთა მორიგეობა, რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და დისციპლინის განუხრელად დაცვას;
- სკოლის მიერ რეგულარულად მოხდება უკვე შემუშავებული სამედიცინო დახმარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის განახლება;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში დამონტაჟდება გამწოვი კარადები;

8. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში

- სისტემატიურად მოხდება მშობლებისათვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- დაიხვეწება და განვითარდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების საშუალებები;
- ინტენსიურად განხორციელდება მოსწავლეების მშობლებთან ინდივიდუალური და საერთო შეხვედრები;
- სისტემატიურად ჩატარდება ღონისძიებები, რომელთა ორგანიზებაში უშუალოდ ჩაერთვებიან მშობლები;
- სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ჩართულობის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.

9. მასტიმულირებელი ბერკეტები სწავლებისა და აღზრდის საქმეში

- სკოლა უზრუნველყოფს საერთაშორისო მოსწავლეების მოზიდვას და გაცვლით პროგრამებში მოსწავლეთა ჩართვას, უცხოელ და ადგილობრივ პარტნიორებთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
- სკოლა უზრუნველყოფს ცნობადობის გაზრდას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ასევე, საერთაშორისო კავშირების დამყარებასა და განვითარებას;
- სკოლა უზრუნველყოფს საზაფხულო ბანაკების შექმნას, როგორც საკუთარი ისე სხვა ქვეყნის მოსწავლეებისათვის;
- სკოლა უზრუნველყოფს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების წარმატებულ სკოლებთან ურთიერთობის დამყარებას, ერთობლივ საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობას, რომელიც მოსწავლეებს მეტ სტიმულს მისცემს;
- სწავლების ხარისხის სტიმულაციის მიზნით, სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს სხვადასხვა სახის კონკურსებს, მაგალითად: „წლის საუკეთესო მოსწავლე”, “წლის საუკეთესო კლასი” და სხვა პროექტები. შემუშავებული კრიტერიუმებით მოსწავლეები დაჯილდოვდებიან საზეიმო ვითარებაში.